საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 8 20 0000964651

08/10/2020

2020 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ფარგლებში ზოგიერთი აპლიკანტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც დარჩენილია ვაკანტური ადგილები, არჩევისა და შესაბამისი დაწესებულებებისთვის ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვის მოთხოვნით მიმართვის ვადის განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 06 ოქტომბრის N948221 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ფარგლებში იმ აპლიკანტების, რომლებიც ვერ ჩაირიცხნენ დაწესებულებაში, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით ან 25-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, მ ათ მიერ რეგისტრაციისას მითითებულ არც ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ გააკეთეს არჩევანი, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში მათ მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც დარჩენილია ვაკანტური ადგილები, არჩევისა და შესაბამისი დაწესებულებებისთვის ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხვის მოთხოვნით

მიმართვის ვადად დადგინდეს 2020 წლის 12 ოქტომბრიდან 2020 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი